

„გამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია



18
„---“

„---“ 2017 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში დიდებში

თბილისი

2017

26 დეკემბერი – 28 დეკემბერი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად.
- საქართველოს ჩემპიონატზე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციიდან მოწვეული იქნება შეჯიბრების კომისარი.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ვაჟი ძიუდოისტები, რომლებმაც მოიპოვეს ასპარეზობის უფლება 2017 წლის 9-10 დეკემბერს გამართულ საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრებაზე და ძიუდოისტები, რომლებიც გათავისუფლებულნი იყვნენ ამ შეჯიბრებისაგან.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს.
- შეჯიბრი ჩატარდება 2017 წლის 27 დეკემბერი - 28 დეკემბერი, ქ. თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე თბილისი - 26 დეკემბერი, წასვლის დღე - 29 დეკემბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10.00 საათზე.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში: 60 კგ; 66 კგ; 73 კგ; 81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;
- პირველი დღე 27 დეკემბერი - 60 კგ; 66 კგ; 73 კგ;
- მეორე დღე 28 დეკემბერი - 81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;

აწონვა: თბილისში

26 დეკემბერს თბილისში, ძიუდოს აკადემია

60 კგ; 66 კგ; 73 კგ;

არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

27 დეკემბერი თბილისში, ძიუდოს აკადემია

81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;

არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

VI. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება და სხვა) უზრუნველყოფს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 52 82 05;

მობ. 595 21 25 23 – გიორგი ათაბეგაშვილი

ელექტრონული მისამართი: judofedgeo@gmail.com

საკონტაქტო პირი – ირაკლი ცირეკიძე 577 99 44 01

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს სპორტსმენთა მიერ მიღწეული შედეგის ანუღირებაზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი